



# მშვიდობის უზრუნველყოფა, კონფლიქტების პრევენცია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში

პოლიტიკის დოკუმენტი

პაატა ზაქარეიშვილი

თბილისის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
პროფესორი

კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი GPPAC-ის სამხრეთ კავკასიის დიალოგის 2022 წლის პროგრამის ფარგლებში აგრძელებს პოლიტიკის დოკუმენტების შექმნას და აქვეყნებს როგორც სამშვიდობო საქმიანობაში ჩაბმული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ისე ფართო აუდიტორიისათვის.

2022 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, პოლიტიკის დოკუმენტები, ძირითადად, ეძღვნება ამ თემატიკას რეგიონულ და ეროვნულ კონტექსტში.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ICCN-ის პოზიციას.

2022

თბილისი, საქართველო

## რუსული იმპერიალიზმის რადიოაქტიური დაშლა

უკრაინის ომის ამჟამინდელი ეტაპის მთავარი შედეგი არის ის, რომ - რუსეთმა შეცდომა დაუშვა ყველა თავის გათვლაში. უკრაინაში შეჭრამდე მოსკოვი დიდხანს აწყობდა გეგმებს, მაგრამ პირველივე საათებიდან რაღაც ისე ვერ წავიდა, როგორც მოსკოვი გეგმავდა. „სპეცოპერაცია“, როგორც რუსეთმა უწოდა თავის ქმედებებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სწრაფად გადაიზარდა ომში, როგორც არ უნდა ებრძოდეს კრემლი ამ სიტყვას. რუსეთი შეცდა მაშინ, როცა მან უკრაინა ისეთივე სუსტად და უნიათოდ მიიჩნია, როგორც მას 2014 წლიდან მოყოლებული ახსოვდა, როცა კიევმა და მთელმა მსოფლიომ ყირიმის ანექსიას გაგებით მოეკიდა. მოსკოვი არ ელოდა, რომ უკრაინა უკეთესად იბრძოლებდა, ვიდრე რვა წლის წინ დონეცკსა და ლუგანსკში. მაშინ რუსეთმა მოახერხა ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების ნაწილებზე საკუთარი კონტროლის დამყარება. რუსეთის მიერ გეგმების დაკავება აზოვის ზღვაში,<sup>1</sup> მუქარა კრემლის მხრიდან, რომელსაც არ მოეწონა ის, რომ ბრიტანულმა საბრძოლო ხომალდმა ახლოს ჩაუარა ყირიმის სანაპიროს.<sup>2</sup> დაინახა რა, რომ მსოფლიომ თვალი დახუჭა ამ ეპიზოდებზე, მოსკოვმა გადაწყვიტა - შეიძლებოდა უფრო თავხედურად ემოქმედა, მსოფლიო ახლაც არ მოახდენდა რეაგირებას. რუსეთი დარწმუნებული იყო საკუთარ ყოვლისშემძლეობაში და ფიქრობდა, რომ უკრაინაში თავის გეგმებს ადვილად მიაღწევდა, მაგრამ ამჯერად მსოფლიომ აღარ დახუჭა თვალები. მოსკოვმა დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე - ახლა სიტუაცია კარნახობს მას თავის პირობებს.

კორონავირუსის პანდემიამაც ასევე შეიტანა თავისი წვლილი ამაში. ისედაც ეჭვიანი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კიდევ უფრო ჩაიკეტა საკუთარ თავში. უცხოელ სტუმრებთან შეხვედრის დროს გრძელ მაგიდებთან ფიზიკური დისტანციის მკაცრი დაცვა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული სხვა კომიკური სცენები გვაფიქრებინებს, რომ ვ. პუტინი გაურბის და თავს არიდებს ადამიანებთან კონტაქტს. როგორც ჩანს, ის საკმაოდ დაშორდა საკუთარ გარემოცვასაც. პუტინის „ლექციაში“ უკრაინის ისტორიაზე, რომელიც მან 21 თებერვალს წაუკითხა მსოფლიოს, აჩვენა, რომ რუსეთის პრეზიდენტი გაცნობიერებულად შორდება რეალობას. ის კომფორტულად ცხოვრობს მის მიერვე შექმნილ მითებში. მათ დაჯერებაში კი მას მისივე გარემოცვა ეხმარება. ამ მითებში დარწმუნებამ განაპირობა ის, რომ რუსეთი თამამას შეიჭრა უკრაინაში, რითაც გადადგა ნაბიჯი უფსკრულში. ომი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მთავარი დასკვნის გაკეთება უკვე შეიძლება - ამ ერთი ნაბიჯით რუსეთი თავს ინადგურებს და ახალ უკრაინას ქმნის.

<sup>1</sup> "რუსეთს მუდმივად სჭირდება სადღაც "გაისროლოს" - როგორ გაგრძელდება "აზოვის ზღვის კრიზისი?" - კვირის პალიტრა (kvispalitra.ge)

<sup>2</sup> <https://civil.ge/ka/archives/428955>

ის, რაც ახლა ხდება უნდა მომხდარიყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რის შედეგადაც პრუსიის, ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებმა არსებობა შეწყვიტეს. გადარჩა მხოლოდ რუსეთის იმპერია - თავიდან ის გადაარჩინა ბოლშევიზმმა, შემდეგ იმპერიალიზმის იდეამ დსთ-ს წყალობით განაგრძო არსებობა. პუტინს სურდა რაღაც კვაზიიმპერიალიზმის ხელახლა შექმნა, მაგრამ საბოლოოდ გადარჩენაც კი არ შეუძლია იმისა, რაც მან მემკვიდრეობით ბორის ელცინისაგან მიიღო. „რუსული სამყაროს“ გაძლიერების სურვილით შეპყრობილი, მისი ნების საწინააღმდეგოდ, „სლავურ სამყაროს“ ანადგურებს. წაართვა რა ძალაუფლება ელცინს, პუტინს სჯეროდა, რომ რუსეთს აძლიერებდა. ელცინმა, რომელმაც ხელი მოაწერა ბელოვეჟის შეთანხმებას 1991 წლის 8 დეკემბერს (ბელორუსის პრეზიდენტთან ს. შუშკევიჩთან და უკრაინის პრეზიდენტთან ლ. კრავჩუკთან ერთად),<sup>3</sup> დაშლილი საბჭოთა კავშირის ნანგრევებში, შეინარჩუნა რუსული იმპერიალიზმის მბჟუტავი ნაკვერჩხალი, საიდანაც პუტინის მმართველობის პერიოდში გამანადგურებელი ხანძარი გაჩნდა. ელცინის დამსახურებით სამი სლავური რესპუბლიკა გამოეყო სსრკ-ს და შექმნა დსთ.<sup>4</sup> უკრაინა, ბელორუსია და რუსეთი გახდა ის ბირთვი, რომელმაც სულ მალე მიიერთა ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ახლად შექმნილი სახელმწიფოები (ბოლო სახელმწიფო, რომელიც შეუერთდა დსთ-ს, იყო საქართველო, რომელმაც პირველმა დატოვა ეს გაერთიანება).<sup>5</sup> ასე რომ, ამ დღეებში, ჩვენს თვალწინ ხორციელდება რადიოაქტიური ნახევრად დაშლის პერიოდში მყოფი კვაზიიმპერიის საბოლოოდ დაშლა. ამ გამოთავისუფლებული ენერგიით დღეს სლავები ერთმანეთს ებრძვიან და, როგორც ჩანს, რუსეთის იმპერიალიზმს „ანგლო-საქსები“ ან ჩინელები კი არა, უკრაინელები დაასრულებენ. სიკვდილის ანგელოზი აღმოჩნდა კიევი - "რუსული ქალაქების დედა".<sup>6</sup> ეს ძალიან სიმბოლურია. ვფიქრობ, პუტინისათვის უკრაინის სახით სიკვდილის ანგელოზის მოსვლის სცენა ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურება.

### უკრაინა და რუსეთი: დღეს და ხვალ

უკრაინაში შეჭრით პუტინმა არა მხოლოდ ანადგურებს რუსულ იმპერიალიზმს, არამედ ასრულებს უკრაინელი ერის შექმნას. დღეს უკრაინელი ერი ჩამოყალიბებული ერია. იგი საბოლოოდ თავისუფლდება რუსეთის მიმართ პატერნალისტური დამოკიდებულებისგან. თუ აქამდე უკრაინული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჰქონდა ეჭვები რუსეთთან კავშირის მნიშვნელობაზე, ომის დაწყების შემდეგ ისინი საბოლოოდ აორთქლდნენ. უკრაინის თანამედროვე ისტორიაში რუსეთი ითამაშებს იმავე როლს, რაც ფაშისტურმა გერმანიამ ითამაშა. თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ მეხსიერება დღევანდელი ომის შესახებ უფრო მკაფიო იქნება, ვინაიდან, ინტერნეტის ეპოქაში, ყველა მოვლენა საგულდაგულოდ არის დოკუმენტირებული. საშინელი სურათები ბუჩადან და სხვა ქალაქებიდან არასდროს გაქრება უკრაინელების ცნობიერებიდან. აწი უკრაინელებს აქტივში ექნებათ ორი დიდი გამარჯვება კაცობრიობის მტრებზე მე-20 და 21-ე

<sup>3</sup> [ბელოვეჟის შეთანხმება - ვიკიპედია \(wikipedia.org\)](https://en.wikipedia.org/wiki/Belovezhsk_Forest_agreement)

<sup>4</sup> [დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა - ვიკიპედია \(wikipedia.org\)](https://en.wikipedia.org/wiki/Abkhazian_independence_referendum)

<sup>5</sup> <https://www.radiotavisupleba.ge/a/1801648.html>

<sup>6</sup> *И сѣде Олегъ, княжа в Києвъ, и рече Олегъ: «Се буди мати городом русскимъ». И бѣша у него словѣни и варязи и прочии, прозвашася русью.*

საუკუნეებში - გამარჯვება გერმანულ ფაშიზმზე და გამარჯვება რუსულ იმპერიალიზმზე. ორივე გამოწვევა იყო გლობალური საფრთხე. უკრაინელმა ხალხმა შეძლო ორივესთვის საკუთარ ტერიტორიაზე წინააღმდეგობის გაწევა. როგორ განვითარდება მოვლენები შემდგომში? სავარაუდო სცენარით, კიევი და მოსკოვი შეთანხმდებიან (სავარაუდოდ, უკრაინის პირობებზე), ჯარები დაშორდებიან ერთმანეთს და მოუგვარებელ საკითხებზე მოგვარება ბრძოლის ველიდან გადაინაცვლებს მოლაპარაკებების მაგიდასთან. ყირიმი, დონეცკი, ლუგანსკი მოლაპარაკებების კალათაში დარჩებიან. ყველაზე მისაღები დათმობა, რისი გაღებაც კიევს შეუძლია, არის ნეიტრალიტეტი და უარი ნატოში გაწევრიანებაზე. იმ უზარმაზარი მსხვერპლის გათვალისწინებით, რასაც ქვეყანა განიცდის, ასეთ გადაწყვეტილებას პატივი უნდა ეცეს. საბოლოო ჯამში, უკრაინას ყოველთვის შეეძლება დაუბრუნდეს ამ თემას, იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება რუსეთი დემოკრატიზაციის კუთხით. გამარჯვების შემდეგ, უკრაინისთვის ძირითადი გამოწვევა შეიძლება გახდეს სამხედრო დემოკრატიის დამყარება. ისტორია გვიჩვენებს, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომების ჩრდილები ხშირად თან სდევდნენ გამარჯვებულებს. გამარჯვებულ ქვეყნებში გენერლებს ადვილად აცდუნებდა ძალაუფლება - შ. დე გოლი საფრანგეთში, დ. ეიზენჰაუერი აშშ-ში, ლ. ბრეჟნევი და ნ. ხრუშჩოვი სსრკ-ში. თუმცა, კარგი მეომარი ყოველთვის არ ნიშნავს კარგ პოლიტიკოსს. კითხვა - „სად იყავი ომის დროს“ - ახალ უკრაინაში არ უნდა დაისვას. თუ ქვეყანა ამ გამოწვევას თავს აარიდებს, ის დაიმსახურებს ნდობას და დასავლურ დემოკრატიებს გაუადვილდებათ მისი მხარდაჭერა.

ვფიქრობ, კიევსა და მოსკოვს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ყველაზე დიდი ცვლილებები რუსეთში მოხდება. ვიდრე პუტინი ხელისუფლებაში დარჩება, საერთაშორისო საზოგადოებამ არ უნდა გააუქმოს ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. პუტინის ჩამოშორება სახელმწიფოს მმართველობიდან უნდა იქცეს სანქციების მოხსნის საჯარო ან თუნდაც არასაჯარო პირობად. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დაუსჯელი არ შეიძლება დარჩეს, მაგრამ სასჯელი ალბათ არ იქნება ს. ჰუსეინის ან ა. ჰიტლერის დასჯის მსგავსი. ის, რუსული ტრადიციის შესაბამისად, უკეთეს შემთხვევაში ჩამოცილებული იქნება სახელმწიფოს მართვიდან, როგორც, თავის დროზე, ხრუშჩოვი ან ელცინი იქნენ ჩამოშორებულნი. პუტინის ადგილს, დიდი ალბათობით მისი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელი დაიკავებს. არც ის იქნება დემოკრატი, თუმცა ქვეყნის ახალ კურსს განსაზღვრავს. ახალ რუსეთს, ისევე როგორც ხრუშჩოვის „დათბობის“ დროს,<sup>7</sup> მოუწევს საერთაშორისო „ცოდებისგან“ გაწმენდა - მან უნდა გაიყვანოს ჯარები უკრაინიდან (მათ შორის ყირიმიდან), მოლდოვიდან და საქართველოდან. ეს იქნება რუსეთის ვალდებულებები არა მარტო უკრაინის, არამედ საკუთარი თავის და მსოფლიო საზოგადოების წინაშე. თუ რუსეთი დათმობს იმპერიულ ამბიციებს და დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას დაიწყებს, მსოფლიო თანამეგობრობა მას მხარს დაუჭერს და სანქციებს მოუხსნის. რუსეთის ხელისუფლების მიერ შეთხზული მითებისგან განსხვავებით, რუსეთის დაშლა არავის უნდა და არავის აწყობს. მსოფლიო დაინტერესებულია მისი ერთიანობითა და დემოკრატიზაციით.

**როგორ იმოქმედებს უკრაინის ომი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე**

<sup>7</sup> [ხრუშჩოვის დათბობა - ვიკიპედია \(wikipedia.org\)](http://www.wikipedia.org)

დომინოს პრინციპი ამოქმედდა. რუსეთის დასუსტება აუცილებლად აისახება პროცესებზე ბელორუსიაში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიის ქვეყნებში. რუსეთს არ აქვს საკმარისი რესურსი ყველა ფრონტის ერთდროულად მართოს. ეგზისტენციალური გამოწვევები დგება პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის. ხალხებს, რომლებსაც სურთ რუსეთზე დამოკიდებულების მოშორება ან შემცირება, უჩნდებათ შანსი. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს შანსი, ანდა, მორიგ ჯერზე გაუშვან ის ხელიდან.

## თურქეთი

2020 წლის შემოდგომაზე, მთიან ყარაბაღში განვითარებული მოვლენების შემდეგ, თურქეთმა გააძლიერა თავისი პოზიცია სამხრეთ კავკასიაში.<sup>8</sup> თავი წარმოაჩინა რა ანგარიგასაწევ მოთამაშედ მთიანი ყარაბაღის დაპირისპირებაში, თურქეთმა ასეთივე სიმტკიცე გამოიჩინა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებშიც. დასუსტებული რუსეთის ფონზე თურქეთი აფართოებს თავისი გავლენის სფეროებს. ანკარამ დაკეტა ცა რუსული თვითმფრინავებისთვის, რომლებიც მიფრინავდნენ სირიაში. შეზღუდა რუსული სამხედრო ხომალდების გადაადგილება შავ ზღვაში, მხარს უჭერს უკრაინას და ყიდის მას იარაღს (თურქული წარმოების დრონები ბომბავენ რუსულ ჯარებს). თუმცა მოსკოვი ანკარის კრიტიკას თავს არიდებს. პირიქით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა დ. პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთსა და თურქეთს აქვთ „ჩინებული ურთიერთობები, რომლებშიც ჭარბობს ორმხრივ სარგებელზე დაფუძნებული პარტნიორობა“.<sup>9</sup> თურქეთის მეშვეობით კიევთან მოლაპარაკებაზე თანხმობით მოსკოვი აჩვენებს, რომ ანგარიშს უწევს ანკარას ინტერესებს.

თურქეთს შეიძლება ვუწოდოთ შავი ზღვის მმართველი: ის ნატოს წევრია, ბოსფორის სრუტის „გასაღების მცველი“, ბოსფორის სრუტის გვერდის ავლით ახალი საზღვაო მარშრუტის (სტამბულის არხის) ინიციატორი. გარდა შავი ზღვისა, ანკარა არ მალავს თავის სტრატეგიულ ინტერესებს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების მიმართ. ყველა ჩამოთვლილი მიმართულება უშუალოდ ეხება საქართველოს გეოპოლიტიკურ ინტერესებსაც. სამხრეთ კავკასიის მიმართულებით ინსტიტუციონალურად არის გამოკვეთილი საქართველო - აზერბაიჯანი - თურქეთის ალიანსი. მხარეები ახორციელებენ ერთობლივ ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პროექტებს; ახდენენ საერთო ინტერესების სინქრონიზაციას გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების მიმართულებით. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ჯერჯერობით მხოლოდ სომხეთი რჩება განზე, მაგრამ იმედისმომცემია ერევანსა და ანკარას შორის დაწყებული მოლაპარაკებები. ვფიქრობ, თურქეთს შესწევს ძალა, დაარწმუნოს სომხეთი, რომ მის სუვერენიტეტს საფრთხე არ ემუქრება და ის შეძლებს უზრუნველყოს სომხეთის ღირსეული ყოფნა რეგიონში. თურქეთს, ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მთიან ყარაბაღში ეთნიკური სომხური მოსახლეობის უფლებების დაცვას. გარდა ამისა, ი. ალიევი და ნ. ფაშინიანი მიმდინარე წლის აპრილში ბრიუსელში შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრაზე გამოიკვეთა სამშვიდობო ხელშეკრულების კონტურები.

<sup>8</sup> [Турецкий Рубикон — Карабах, Россия, — Netgazeti.ge](https://netgazeti.ge)

<sup>9</sup> <https://lenta.ru/news/2022/04/02/partn/>

შეხვედრა რუსეთის შუამავლობის გარეშე გაიმართა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ერევანს და ბაქოს აქვთ რესურსები დამოუკიდებლად აწარმოონ მოლაპარაკებები. თუ, ერთი მხრივ, ერევანი და, მეორე მხრივ, ბაქო-ანკარა საერთო ენას იპოვიან, სამხრეთ კავკასიაში შეიძლება დაიწყოს ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებები, რომლის გათვალისწინებაც რუსეთს აუცილებლად მოუწევს.

რაც შეეხება შავი ზღვის მიმართულებას. თურქეთითვის არ უნდა იყოს ხელსაყრელი შავი ზღვის რეგიონში რუსული გავლენის გაფართოებას. აქ საქართველომაც შეიძლება თქვას თავისი სათქმელი. თუ სამხრეთ კავკასიის კონტექსტში შესაძლებელია აზერბაიჯანი - საქართველო - თურქეთის ალიანსის არსებობა, რატომ იქნება შეუძლებელი შავ ზღვაში უკრაინა - საქართველო - თურქეთის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ალიანსის შექმნა? ასეთი კავშირი შექმნის სამი სახელმწიფოს სინერგიას, რაც შეაკავებს და გააწონასწორებს რუსეთის ამბიციებს, როგორც შავ ზღვაზე, ისე სამხრეთ კავკასიაში. თბილისმა ინიციატივა უნდა გამოიჩინოს ასეთი ალიანსის შექმნის მიმართულებით. თურქეთი ყოველთვის ატარებდა თანმიმდევრულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ - პატივს სცემდა მის ტერიტორიულ მთლიანობას და არასოდეს განუხორციელებია ორაზროვანი ქმედებები. ეს არის ერთადერთი მეზობელი სახელმწიფო, რომელთანაც საქართველოს აქვს შეთანხმებული საზღვრები.

თურქეთი ძლიერდება სხვა მიმართულებებითაც. ყურადღებას იქცევს სირიაში არსებული ვითარება. იმის გამო, რომ რუსეთის მთელი ყურადღება უკრაინისკენაა მიპყრობილი, ირანსა და თურქეთს უჩნდებათ სირიაში ჩართულობის გაფართოების სერიოზული შანსები. თუმცა, რეგიონში ირანის გაძლიერება არც დასავლეთს და არც ისრაელს არ აწყობს, მოსალოდნელია, რომ ევროპამ, აშშ-მ და ისრაელმა რეგიონში გაძლიერების საშუალებას მისცენ სწორედ თურქეთს, მაგრამ არა ირანს. მაღალი ალბათობით, სირიაშიც ძალთა ბალანსი შეიცვლება თურქეთის სასარგებლოდ.

## საქართველო

ახალ გეოპოლიტიკურ გადაადგილებებში საქართველოს აქვს შანსი, იპოვოს თავისი ექსკლუზიური ადგილი. უკრაინის ომის დასაწყისში საქართველოს ხელისუფლება ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა. თუმცა ჩრდილოელი მეზობლის არ გაღიზიანების ფრთხილმა პოლიტიკამ შედეგი არ მოიტანა. პირიქით, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ა. ბიბილოვმა, რუსეთს შესთავაზა რეფერენდუმის ჩატარება სამხრეთ ოსეთის რუსეთში შესვლის (ანექსიის) თაობაზე და რეფერენდუმის თარიღიც დაინიშნა. საქართველოს გაუჩნდა შესაძლებლობა, ანექსიის თემა გამოიყენოს და გამოასწოროს პოლიტიკა რუსეთის მიმართ. მსოფლიოს დროულად უნდა შევახსენოთ, რომ საქართველო რუსული იმპერიალიზმის ისეთივე მსხვერპლია, როგორც უკრაინა. მეტიც, საქართველო არის პირველი მსხვერპლი მოსკოვის ახალი აგრესიული პოლიტიკისა, რომელიც პუტინმა 2007 წელს მიუნხენში დააანონსა. 2008 წლის 12 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის ხუთდღიანი ომის შემდეგ, რუსეთმა ხელი მოაწერა ექვსპუნქტიან „ცეცხლის შეწყვეტის გეგმას“,<sup>10</sup> <sup>11</sup> რომლის მიხედვითაც იგი პირობას დებდა, რომ თავის ჯარებს 2008 წლის 7 აგვისტოს

<sup>10</sup> [Civil.Ge | Six-Point Ceasefire Plan](http://Civil.Ge | Six-Point Ceasefire Plan)

<sup>11</sup> <https://old.civil.ge/geo/article.php?id=19157>

პოზიციაზე გაიყვანდა. ეს დოკუმენტი "ცოცხალია", პრაქტიკულად მისი ყველა დებულება სრულდება. მის ბაზაზე მიმდინარეობს „ჟენევის მოლაპარაკებები“<sup>12</sup> და გაეროს დამკვირვებელთა მისია (EUMM),<sup>13</sup> რომლებიც დღესაც მოქმედებენ. მხოლოდ ერთი პუნქტი არ სრულდება, მეხუთე - რუსეთს არ გაჰყავს თავისი ჯარი იმ ვალდებულებების შესაბამისად, რაც თავისი ხელმოწერით აქვს აღებული. თბილისი ჯარების გაყვანის მოთხოვნას რეგულარულად აჟღერებდა. თუმცა, 23 თებერვლის შემდეგ შეწყვიტა ამ მოთხოვნის დაყენება. ვფიქრობ, სწორედ ახლა არის ყველაზე ხელსაყრელი დრო, უკრაინის მხარდაჭერის პარალელურად (როგორც ამას აკეთებს მთელი მსოფლიო), პრინციპულად მოსთხოვოს რუსეთს, შეასრულოს მის მიერ აღებული ვალდებულებები „ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმის“ შესაბამისად.

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პოზიციის გაცოცხლების ნაცვლად, თბილისი ატარებს უცნაურ პოლიტიკას: ერთის მხრივ, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე კენჭს უყრის რუსეთის ადამიანის უფლებათა საბჭოდან გარიცხვას, ჰააგაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში<sup>14</sup> მხარს უჭერს სარჩელს რუსეთის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ კი, ის არ უერთდება საერთაშორისო სანქციებს, არ მოითხოვს კრემლისგან ჯარების გაყვანას. ასეთი უცნაური მიდგომა შეიძლება იმით აიხსნას, რომ საქართველო ადვილად ერთვება კოლექტიურ „გუნდში“, სადაც მისი ხმა იკარგება სხვა ხმებში, მაგრამ იქ, სადაც საჭიროა საქართველომ გამოხატოს ექსკლუზიური პოზიცია, როგორც რუსეთის მსხვერპლმა, თბილისი დუმს, რითაც ამლიერებს მოსკოვის პოზიციას, ათავისუფლებს რა მას აგრესორის სტატუსისგან კიდევ ერთ სახელმწიფოსთან მიმართებაში. უკრაინის კრიზისში მთავარი მოქმედია არა უკრაინა, არამედ რუსული იმპერიალიზმი. უკრაინა არავის აღიზიანებდა, მისი მხრიდან პროვოცირებული აგრესია არ ყოფილა, უკრაინული ტანკები დონეცკსა და ლუგანსკში არ შესულან. ამის მიუხედავად, რუსები მას თავს დაესხნენ.

დღეს საქართველოს მმართველ პარტიას „ქართულ ოცნებას“ აქვს შანსი გამოასწოროს ის შეცდომა, რომელიც, მისი აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ 2008 წელს დაუშვა. ახლა არ არის იმის დრო, რომ უკრაინული თემა შიდა პოლიტიკურ განხეთქილებად ვაქციოთ. უნდა გამოვიყენოთ შანსი და წინ წავიწიოთ „ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმის“ განხორციელება. როცა მსოფლიო რუსეთზე სანქციების მოხსნას დაიწყებს, საერთაშორისო საზოგადოებას უნდა შევახსენოთ, რომ რუსეთს საქართველოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები ჯერ არ შეუსრულებია. უკრაინის მხარდაჭერით საქართველო საკუთარ თავს დაუჭერს მხარს.

თუმცა, საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების სავარაუდო გაყვანა დამატებით გამოწვევებს უქმნის საქართველოს. აფხაზური და სამხრეთ ოსური საზოგადოებები შეშფოთებულნი არიან საკუთარი უსაფრთხოების საკითხით. მათი შიში დაკავშირებულია იმასთან, რომ თუ რუსული ჯარები საქართველოს ტერიტორიას დატოვებენ, აფხაზებს და ოსებს აქ არავინ დაიცავს. სოხუმსა და ცხინვალს ეშინია (და გარკვეულწილად არა უმიზეზოდ) თბილისთან პირისპირ დარჩენის. ამიტომ, თბილისმა მუდმივად უნდა გაუგზავნოს მკაფიო გზავნილები

<sup>12</sup> <https://smr.gov.ge/ge/page/26/jenevis-saertashoriso-molaparakebebi>

<sup>13</sup> <https://www.eumm.eu/ge/home>

<sup>14</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო - ვიკიპედია (wikipedia.org)

აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მხარეებს, რომ არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ გადაწყვეტს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს სამხედრო გზით. კონფლიქტის მოგვარების ეს გზა გამორიცხულია, რაც გათვალისწინებულია „ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიან გეგმაში.“ საქართველომ კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტის მიუღებლობის შესახებ შეთანხმებები გააფორმა ევროკავშირის 27 ქვეყანასთან - თითოეულთან ცალ-ცალკე. თუნდაც ვინმეს ასეთი აზრი მოუვიდეს, მაშინ საქართველო დაარღვევს არა ერთ, არამედ 27 ხელშეკრულებას - და ქვეყანას შეუძლია სამუდამოდ დაივიწყოს ევროპისკენ სწრაფვა.

ამ საკითხის განხილვისას, გასათვალისწინებელია, რომ იმავე „ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმის“ საფუძველზე, გამყოფი ხაზის გასწვრივ მუშაობენ ევროკავშირის მისიის (EUMM) დამკვირვებლები. ვთვლი, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში არის შესაფერისი სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია რუსეთის ჯარების გაყვანის შემთხვევაში აფხაზურ და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებს შეუქმნან და განუმტკიცონ უსაფრთხოების გარანტიები. ასეთ შემთხვევაში, აღარ იქნება საჭირო რაიმე ახლის გამოგონება - საკმარისია ევროპელი დამკვირვებლების უფლებამოსილების გაფართოება და მათი გადაქცევა ევროკავშირის სამშვიდობო ძალებად. ეს შესაძლებლობა მათი მანდატით არ არის გამორიცხული. რუსეთის პოზიციების შესუსტების ფონზე, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებს გაუჭირდებათ უარი თქვან ასეთ წინადადებაზე.

არსებობს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს. სოხუმი და ცხინვალი თბილისისგან მუდმივად ითხოვენ რაიმე სახის შეთანხმების გაფორმებას ძალის გამოუყენებლობის თაობაზე. საქართველოს ხელისუფლება მუდმივად უარს ამბობდა ამ საკითხის განხილვაზე. ამ დრომდე, ოფიციალური თბილისის (როგორც ყოფილი ნაციონალური მოძრაობის, ისე ამჟამინდელი მმართველი პარტია „ქართული ოცნების“) პოზიცია ასეთია: ვიდრე რუსეთის შეიარაღებული ძალები განლაგებულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, აზრი არ აქვს ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას სოხუმთან და ცხინვალთან, როგორც კონფლიქტის მხარეებთან, ვინაიდან აფხაზური და სამხრეთ ოსური მხარეები ვერ უზრუნველყოფენ აღებული ვალდებულებების შესრულებას რუსეთის სამხედრო ძალების თანდასწრებით. ახალ რეალობაში ეს შესაძლებელი ხდება. რუსული ძალების შესაძლო გაყვანა საშუალებას გვაძლევს დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

საერთაშორისო სამართლით აღიარებული საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანის შემდეგ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა შესაძლოა სხვა მიმართულებითაც განვითარდეს. ახალი, პუტინისშედეგომი რუსეთისთვის საქართველოსთან თანამშრომლობა მომგებიანი იქნება - მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის თემაზე. საქართველოს შეუძლია დაეხმაროს რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მდგრადი მშვიდობისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობაში.



## რეკომენდაციები:

---

შექმნილ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს, რათა მსოფლიოს დღის წესრიგში მუდმივად იმყოფებოდეს საქართველოს თემა.

საქართველოს ხელისუფლება, მკაფიოდ უნდა აპელირებდეს, რომ საქართველო ისევეა რუსული აგრესიის მსხვერპლი, როგორც უკრაინაა და რუსეთმა უნდა გაიყვანოს შეიარაღებული ძალები 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი გეგმით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა უნდა აწარმოებდეს მოლაპარაკებებს ევროკავშირთან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოდერნიზაციის თაობაზე, მისიის სამშვიდობო ძალებად, ან რაიმე სხვა ფორმატის შექმნასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის ეს ინიციატივა ხაზს გაუსვამდა, ხელისუფლების ზრუნვას აფხაზური და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებისთვის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის მიმართულებით.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს ევროკავშირი, გაერო და ეუთო, დაამყარონ პირდაპირი კონტაქტები აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მხარეებთან. რათა რუსეთს არ მიეცეს საშუალება ამ რეგიონების კიდევ მეტად იზოლირებისთვის.

ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს წარმომადგენლები, თავის მხრივ, უფრო პრინციპულები უნდა იყვნენ თბილისთან დიალოგში. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებების იზოლაციის თავიდან აცილების მიზნით, მათ უნდა მოსთხოვონ თბილისს, რომ პირდაპირი წვდომა ჰქონდეთ სოხუმთან და ცხინვალთან.

ამ პროცესის პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებამ სოხუმთან და ცხინვალთან უნდა გამართოს პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესი ძალის არ გამოყენების თაობაზე ორმხრივ ტექსტებზე მუშაობის ხელშესაწყობად.

საქართველოს სამოქალაქო სექტორმა თანამშრომლობის რეჟიმში ხელისუფლებას მუდმივად უნდა მიაწოდოს ექსკლუზიური ინფორმაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ და შესთავაზოს კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების თავისი ხედვა.